დანართი №1

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის
# დასკვნა
# საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

"საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 2 მაისი, 2025 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 10 ივნისი, 2025 წელი

თბილისი

## შინაარსი

I. 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა........................................................5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან........................................................6

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა........................................................6

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა........................................................10

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა........................................................14

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა........................................................16

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები........................................................22

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ - სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 211349192 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ზურაბ აზნაურაშვილი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ლეკაშვილი ეკა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ქრისტინე ჩიხლაძე, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის" და „დაწესებულების სახის" მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად) | საჯარო მმართველობა |
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად) | Public Administration |
| უმაღლესი განათლების საფეხური | საბაკალავრო |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | საჯარო მმართველობის ბაკალავრი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის / საგნების / საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[3] | |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული / არააკრედიტებული / პირობით აკრედიტებული / ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული - 06.07.2022, № 769221 |
| პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები) | |

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ[4]

სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (სტუ) 2012 წლიდან ფუნქციონირებს საჯარო მმართველობის აკრედიტირებული საბაკალავრო პროგრამა.

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით, ასევე უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა არის მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელმაც რეაკრედიტაციის პროცესი გაიარა 2022 წლის პირველ ნახევარში, ხოლო 2022 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილებით სტუ-ს "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია, 1 წელში საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის, ხოლო 2 წელში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

- აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტი სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შედგა 2025 წლის 2 მაისს. გასაუბრება შედგა შემდეგ ჯგუფებთან/ადამიანებთან:

- უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაცია;
- პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი;
- პროგრამის ხელმძღვანელი;
- უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელები
- პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი;
- პროგრამის სტუდენტები;
- პროგრამის კურსდამთავრებულები;
- დამსაქმებლები.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

დოკუმენტაციის შესწავლისა და ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგად, მივიღეთ სტანდარტების კომპონენტების შემდეგი შესაბამისობა:

- შესაბამისობაშია შემდეგი კომპონენტები: 1.1; 1.2; 2.1; 2.2; 2.3; 2.4; 2.5.
- მეტწილად შესაბამისობაშია შემდეგი კომპონენტები: 1.3; 1.4; 1.5; 5.1.
- არ შეფასებულა: 3.1; 3.2; 4.1; 4.2; 4.3; 4.4; 4.5; 5.2; 5.3.

    - სტანდარტი 1. მეტწილად შესაბამისობაშია
    - სტანდარტი 2: შესაბამისობაშია
    - სტანდარტი 3: არ შეფასებულა
    - სტანდარტი 4: არ შეფასებულა
    - სტანდარტი 5: მეტწილად შესაბამისობაშია

- რეკომენდაციები

1.3. რეკომენდებულია დაიხვეწოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების დეტალური გეგმა.
1.4. გაგრძელდეს მუშაობა სასწავლო კურსების წინაპირობების განსაზღვრასთან დაკავშირებით.
1.5. გაგრძელდეს მუშაობა სასწავლო ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით.
5.1. რეკომენდებულია სრულად ამოქმედდეს დოკუმენტურად გაწერილი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

---

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1.5. სასურველია ეკონომიკური პოლიტიკის სასწავლო კურსის ჩართვა პროგრამაში.

2.1 პროგრამაში სრულყოფილად იქნას წარმოდგენილი ინფორმაცია პროგრამაზე სწავლის მსურველთა შესაძლებლობების შესახებ. კერძოდ: შიგა და გარე მობილობა; უგამოცდოდ ჩარიცხვა და ამ უკანასკნელთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნები. ან, შესაძლებელია, პროგრამაში მითითებული იყოს ის ბმულები, სადაც პროგრამაზე სწავლის მსურველს ექნება შესაძლებლობა გაეცნოს ინფორმაციას შიგა და გარე მობილობის, უგამოცდოდ ჩარიცხვის და ამ უკანასკნელთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნების შესახებ.

2.4 სასურველია, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით შეირჩეს კურსზე მორგებული შეფასების ფორმები და მეთოდები.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]

- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2025 წლის 6 ივნისს გაგზავნილ არგუმენტირებულ პოზიციაში აღნიშნულია, რომ ისინი ექსპერტების მიერ დასკვნის პროექტში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებს, რეკომენდაციებს და შეფასებებს სრულად ეთანხმებიან. ასევე, ხაზგასმულია, რომ მოცემული რეკომენდაციები ასახული იქნება საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების დროს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მონიტორინგის ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნის პროექტი რჩება უცვლელი.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

---

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

## III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის დოკუმენტის მიხედვით საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის მიზანია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი საჯარო მმართველობის ბაკალავრების მომზადება, რომლებსაც ექნება ფართო ცოდნა საჯარო სამსახურის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციონირების ფორმების და მეთოდების, სახელმწიფო სტრუქტურების, ზოგადად მართვის, მენეჯმენტისა და ადმინისტრირების თანამედროვე ფორმების და სისტემების თაობაზე, კრიტიკული გააზრებისა და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:
საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
შეფასება:
გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.1 პროგრამის მიზნები | ■ | ☐ | ☐ | ☐ |

#### 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზის შედეგად დასტურდება, რომ სწავლის შედეგები ძირითადად თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან და პასუხობს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებს და ასახავს ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას.

საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცებას უზრუნველყოფს სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსების) უმრავლესობა. აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის შესაბამისად თითოეული სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) დაექვემდებარა აკადემიური მოსწრების მონაცემების შეგროვებას და შემდგომ მათ ანალიზს.

კურიკულუმის ანგარიშის შესაბამისად გამოიკვეთა თუ რომელი სასწავლო კურსებით, აქტივობებითა თუ კვლევითი კომპონენტებით ვითარდება სტუდენტებში პროგრამის სწავლის შედეგები, თუ რა დონით ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს და აღნიშნული ანგარიშის შესაბამისად განახლდა პროგრამის სწავლის შედეგების რუკა.

სამუშაო ჯგუფის მიერ სწავლის შედეგების რუკაში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად რელევანტურად მოხდა პროგრამის მიზნების და შედეგების ლოგიკური დაკავშირება და ასევე კონკრეტული სასწავლო კურსების სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შედეგებთან რელევანტური კავშირის განსაზღვრა.

შესაბამისად, „საჯარო მმართველობის" საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და სწავლების საფეხურს. სწავლის შედეგები არის მიღწევადი, რეალისტური და გაზომვადი, სადაც ასახულია ბაზრის მოთხოვნებიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

შეფასება:

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | ■ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილებით დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაცია: „რეკომენდირებულია დაკორექტირდეს პროგრამის სწავლის შედეგების რუკა."

უნივერსიტეტს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის სახელმძღვანელოს მიხედვით, შემუშავებული აქვს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. დოკუმენტის თანახმად, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება შედგება ოთხი ეტაპისაგან: 1) პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება; 2) კურიკულუმის ანალიზი, რათა დავრწმუნდეთ, რომ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიაღწიონ აღნიშნულ სწავლის შედეგებს; 3) პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება; 4) შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი პროგრამის დასასრულს ფასდება, რა დროსაც ხდება სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრა, შეგროვება და ანალიზი. შეფასების პროცესში გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდები. პირდაპირი შეფასების მეთოდია ის, რომლის მეშვეობითაც მოწმდება, მიაღწია თუ არა სტუდენტმა პროგრამის სწავლის შედეგს სტუდენტის მიერ შესრულებული დავალების მეშვეობით. ეს შეიძლება იყოს ტესტი, გამოცდა, ესე, პორტფოლიო, სიმულაცია, სალიცენზიო გამოცდა, საველე გამოცდილებისას ზედამხედველის მიერ სტუდენტის შეფასება და ა.შ. რაც შეეხება შეფასების არაპირდაპირ მეთოდს, ეს არის სტუდენტის მიერ თვითშეფასება, დამსაქმებლის მიერ სტუდენტის შეფასება და ა.შ.

საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის შემუშავებულია:
1) ე.წ. კურიკულუმის რუკა, სადაც იდენტიფიცირებულია თითოეულ სწავლის შედეგზე გამსვლელი სავალდებულო სასწავლო კურსი სწავლის შედეგის მიღწევის დონის მითითებით (გაცნობა - 1; გაღრმავება - 2; განმტკიცება - 3);
2) მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასების რუკა - ადგენს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების თანხვედრას;
3) სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში, სადაც გაანალიზებულია სტუდენტთა აკადემიური მოსწრება ძირითად/სავალდებულო სასწავლო კურსებში.

სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშში, აკადემიური მოსწრების ანალიზისთვის გამოყენებულია ნორმალური განაწილების (გაუსის განაწილება) მაჩვენებელი, რომლის თანახმადაც სტუდენტთა შეფასებები ნორმალური განაწილების შემთხვევაში უნდა მერყეობდეს შემდეგნაირად: 10% „A“ - ფრიადი 25% “B”- ძალიან კარგი 30% “C” -კარგი 25% “D”- დამაკმაყოფილებელი 10% “E” -საკმარისი. აღნიშნული დიაპაზონიდან 20%-იანი გადახრის შემთხვევაში პროგრამის გუნდი გეგმავს გადახედოს სწავლის შედეგებსა და მათი მიღწევის გზებს.

აღსანიშნავია, რომ კურიკულუმის რუკაში არ ჩანს ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი, რომლებიც პროგრამის სწავლის შედეგებზე გადის. მაგ., სავალდებულო კურსი “მოხელის პროფესიული ეთიკა”, რომელიც ისწავლება მე-4 სემესტრში, არ ჩანს პროგრამის კურიკულუმის რუკაში თუ რომელი სწავლის შედეგს მიღწევაში იღებს მონაწილეობას, მაშინ, როცა პროგრამაში გვხვდება ისეთი სწავლის შედეგი როგორიცაა “იზიარებს ზოგადსაკაცობრიო, აგრეთვე დარგში აღიარებულ ფასეულობებს და საკუთარი საქმიანობის ეთიკის პრინციპების დაცვით განხორციელების მნიშვნელობას.”

წარმოდგენილი და გამოთხოვილი დოკუმენტაციის ანალიზისა და ინტერვიუს შედეგების გათვალისწინებით, დადგინდა, რომ დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული სწავლის შედეგების შეფასების დეტალური მექანიზმი/გეგმა, სადაც იდენტიფიცირებული იქნება კონკრეტული სწავლის შედეგის შეფასებისთვის შერჩეული სამიზნე აქტივობა და სწავლის შედეგის მიღწევის სამიზნე ნიშნული. სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშშიც გაანალიზებულია სასწავლო კურსის დასრულებისას მიღებული ჯამური შედეგი (სტუდენტთა აკადემიური მოსწრება). სწავლის შედეგის შეფასებისთვის კი მნიშვნელოვანია შეირჩეს კონკრეტული აქტივობა, რომლითაც ხდება სწავლის შედეგის მიღწევა. ასევე, სასურველია შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების რუბრიკები. „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელოს“ მიხედვით (იხ. გვერდები 7-8), პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი აღწერილი უნდა იყოს სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში, რომელშიც უნდა ჩანდეს, თუ რომელი დავალებით, როდის, ვის მიერ, სტუდენტთა რა რაოდენობაზე შეფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი. იმ შემთხვევაში, თუ გამოიყენება რუბრიკა/რუბრიკები დავალების შესაფასებლად (რაც საუკეთესო პრაქტიკადაა მიჩნეული), ისიც თან უნდა ერთვოდეს შეფასების გეგმას. აქვე აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსში მიღებული საბოლოო შეფასება მაღალი სიზუსტით არ გვაძლევს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შესაძლებლობას, რადგან სასწავლო კურსის ქულა მოიცავს და აფასებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღმა ბევრ სხვა უნარსა და ცოდნასაც. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას უნდა გამოიყენებოდეს იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგს. მოცემული გარემოებების გათვალისწინებით რეკომენდებულია დაიხვეწოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების დეტალური გეგმა. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილებით განსაზღვრული (1) რეკომენდაცია (რეკომენდირებულია დაკორექტირდეს პროგრამის სწავლის შედეგების რუკა) არ არის სრულად შესრულებული.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტები, რომლებიც საშუალებას მოგვცემდა სიღრმისეულად შეგვესწავლა მონიტორინგზე წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, თუმცაღა ექსპერტებს მიეწოდა საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის (რუსულენოვანი) შემუშავებული მექანიზმი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:
1. საგანმანათლებლო პროგრამა;
2. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
3. კურიკულუმის რუკა;
4. პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასების რუკა;
5. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „საჯარო მმართველობის“ სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში;
6. ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:
რეკომენდებულია დაიხვეწოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების დეტალური გეგმა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

შეფასება:
გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | ☐ | ■ | ☐ | ☐ |

### 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

---

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განისაზღვრა (4) რეკომენდაცია: ,,რეკომენდირებულია გადაიხედოს რიგი სასწავლო კურსების (ბიზნესის საფუძვლები, მიკროეკონომიკა, მაკროეკონომიკა და სხვა) სტატუსი პროგრამაში და შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის სწავლის შედეგებთან“.

მონიტორინგის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებში წარმოდგენილია სასწავლო კურსი ,,ეკონომიკის საფუძვლები“ (5 ECTS კრედიტი) და „ბიზნესის საფუძვლები“ (5 ECTS კრედიტი), თუმცა სწავლის შედეგები არ შეცვლილა. მიკროეკონომიკა II და მაკროეკონომიკა II შემოთავაზებულია არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკში.

აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, მოცემულია (8) რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც მოთხოვნილია რიგი სასწავლო კურსებისთვის წინაპირობების განსაზღვრა.

მონიტორინგს დაქვემდებარებული პროგრამის შესწავლით დადგინდა, რომ სასწავლო კურსები მოითხოვს წინაპირობების განსაზღვრას. კერძოდ, სასწავლო კურსს ,,სოციალური პოლიტიკა“ წინაპირობად უნდა განესაზღვროს - ,,ეკონომიკის საფუძვლები“; ,,პროექტის მენეჯმენტს“ - ,,ბიზნესის საფუძვლები“;

„ადმინისტრაციულ მენეჯმენტს“ - „საჯარო მმართველობის საფუძვლები“; „საჯარო-კერძო პარტნიორობას“ - „საჯარო მმართველობის საფუძვლები“ და „ბიზნესის საფუძვლები“; „თანამედროვე მენეჯმენტს“ და „ადამიანური რესურსების მართვას“ - „ბიზნესის საფუძვლები“; „საჯარო მმართველობის ელექტრონულ სისტემებს“ - „საჯარო მმართველობის საფუძვლებთან“ ერთად დაემატოს „ინფორმაციული ტექნოლოგიები საჯარო მმართველობაში“; „სტრატეგიული მართვის საფუძვლებს“ - „ბიზნესის საფუძვლები“.

აღნიშნული თვალსაზრისი ექსპერტთა ჯგუფმა გააცნო აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს მონიტორინგის პირობებში მიმდინარე ინტერვიუს პროცესში და „ადამიანური რესურსების მენეჯმენტის“ და „სოციალური პოლიტიკის“ სასწავლო კურსების ხელმძღვანელები დაეთანხმნენ თვალსაზრისს.

შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილებით განსაზღვრული (4 და 8) რეკომენდაციები არ არის სრულად შესრულებული, ხოლო რეკომენდაციები 2 და 3 შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

რეკომენდაციები:
გაგრძელდეს მუშაობა სასწავლო კურსების წინაპირობების განსაზღვრასთან დაკავშირებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

შეფასება:
გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | ☐ | ■ | ☐ | ☐ |

## 1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაში შემოთავაზებულია სასწავლო კურსები „პროექტის მენეჯმენტი“ და „პროექტის მენეჯმენტი ადგილობრივ თვითმმართველობებში“. ამ კურსებს ერთი ავტორი/ლექტორი ჰყავს. თემატიკაც ნაწილობრივ მეორდება და სასწავლო კურსის „პროექტის მენეჯმენტი ადგილობრივ თვითმმართველობებში“ ძირითადი ლიტერატურაც მენეჯმენტის და პროექტის მენეჯმენტის სახელწოდებით არის წარმოდგენილი. მიზანშეწონილია, ამ კურსების გაერთიანება ერთ კურსში „პროექტის მენეჯმენტი ადგილობრივ თვითმმართველობებში“, საჭიროების შემთხვევაში 5 ECTS კრედიტის ან საკონტაქტო საათების ზრდის პირობით.

აღნიშნული თვალსაზრისი ექსპერტთა ჯგუფმა გააცნო აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს მონიტორინგის პირობებში მიმდინარე ინტერვიუს პროცესში სასწავლო კურსების ხელმძღვანელს, რომელიც დაეთანხმა ექსპერტთა თვალსაზრისს.

შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციები (5, 6, 7, 9, 10, 11) შესრულებულია, მაგრამ აღნიშნულის მიუხედავად ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა სასწავლო კურსების სილაბუსები და დადგინდა, რომ უმრავლესობაში (მაგ.: ,,ეკონომიკის საფუძვლები", ,,სოციალური პოლიტიკა", ,,კრიტიკული აზროვნება" და ა.შ. ) სავალდებულო ლიტერატურა მოითხოვს განახლებას.

ასევე აღსანიშნავია, რომ პროგრამა არ მოიცავს ეკონომიკური პოლიტიკის თემატიკას. სასურველია, აღნიშნული სასწავლო კურსის შეთავაზება პროგრამის ფარგლებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

რეკომენდაციები:
გაგარძელდეს მუშაობა სასწავლო ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
სასურველია ეკონომიკური პოლიტიკის სასწავლო კურსის ჩართვა პროგრამაში.

შეფასება:
გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | ☐ | ■ | ☐ | ☐ |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| | | |
|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ■ |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ☐ |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან დამატებით ვკითხულობთ, რომ პროგრამაზე ჩასაბარებელი მე-3 სავალდებულო საგანია - მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია ან სამოქალაქო განათლება. უცხო ენა-ინგლისური.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:
- o ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „საჯარო მმართველობა“;
- o ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- o უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
პროგრამაში სრულყოფილად იქნას წარმოდგენილი ინფორმაცია პროგრამაზე სწავლის მსურველთა შესაძლებლობების შესახებ. კერძოდ: შიგა და გარე მობილობა; უგამოცდოდ ჩარიცხვა და ამ უკანასკნელთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნები. ან, შესაძლებელია, პროგრამაში მითითებული იყოს ის ბმულები, სადაც პროგრამაზე სწავლის მსურველს ექნება შესაძლებლობა გაეცნოს ინფორმაციას შიგა და გარე მობილობის, უგამოცდოდ ჩარიცხვის და ამ უკანასკნელთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნების შესახებ.

შეფასება:
გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | ■ | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო სასწავლო კომპონენტებში წარმოდგენილია ისეთი სასწავლო კურსები, როგორებიცაა: „წერითი და ზეპირი კომუნიკაციები“, ,,კრიტიკული აზროვნების საფუძვლები“, ,,პროექტის მენეჯმენტი“, ..პროექტის მენეჯმენტი ადგილობრივ თვითმმართველობაში“, ,,საქმიანი ურთიერთობები“, ,,საწარმოო პრაქტიკა საჯარო მმართველობაში“, ,,ლიდერობის პრაქტიკული ფილოსოფია“, ,,საბაკალავრო ნაშრომი“. აღნიშნული სასწავლო კურსები უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკულ, კვლევით, შემოქმედებით და ტრანსფერული უნარების განვითარებას და კვლევით პროექტებში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგებს შესაბამისად.

მონიტორინგის ვიზიტისას კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, რომ პრაქტიკული უნარების განვითარება შესაძლებელი გახდა ისეთი სასწავლო კურსების სწავლა-სწავლების პროცესში, როგორებიცაა „წერითი და ზეპირი კომუნიკაციები“, „ინფორმაციული ტექნოლოგიები საჯარო მმართველობაში“, „პროექტის მენეჯმენტი“, „გადაწყვეტილების მიღების თანამედროვე მეთოდები“.

ლექტორებმა აღნიშნეს, რომ ხშირად ატარებენ გასვლით ლექციებს, მათ შორის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. დამსაქმებლები სტუდენტებს უტარებენ ტრენინგებს, რაც დამსაქმებლებთან სტუდენტების კომუნიკაციის შესაძლებლობას ამარტივებს. აღნიშნული დაადასტურეს კურსდამთავრებულებმა. ამასთან, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირთა მიერ ხაზგასმით აღინიშნა მეცხრამეტე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შესახებ, რომელსაც ზაარბრუკენის უნივერსიტეტთან პარტნიორობით ახორციელებენ და რომელში მონაწილეობას იღებენ სტუდენტებიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „საჯარო მმართველობა“ და სილაბუსები.
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

შეფასება:

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი /შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | ■ | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

---

